



სახელმწიფო შესყიდვების  
სააგენტოს თავმჯდომარის  
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080196969054519

№ 3560

22 / აგვისტო / 2019 წ.

**შპს „ავერსი-ფარმის“ თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ**


სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 16 აგვისტოს წარმოდგენილ იქნა შპს „ავერსი-ფარმის“ (ს/ნ: 211386695) 2019 წლის 16 აგვისტოს № 156/3 მომართვა (რეგისტრაციის № 8906), რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელება.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის მომართვა თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის № 2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3, მე-4 და მე-7 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დადგენილია, რომ შპს „ავერსი-ფარმის“ (ს/ნ: 211386695) თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა იწურება 2019 წლის 20 სექტემბერს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად:

1. შპს „ავერსი-ფარმის“ (ს/ნ: 211386695) 2019 წლის 21 სექტემბრიდან გაუგრძელდეს თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა.
2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/  
შტამპდასმულია  
ელექტრონულად 

კახი დემეტრაშვილი